

ზოგადი წესები მძღოლებისთვის

შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ მოცემული დოკუმენტი, შესაძლო სამომავლო საჭიროებისთვის

წინამდებარე ზოგად წესებში წარმოდგენილია Bolt-ის აპლიკაციის გამოყენების მარეგულირებელი მთავარი წესები და პირობები. Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებით სატრანსპორტო მომსახურების გაწევის მიზნით, თქვენ უნდა დაეთანხმოთ ქვემოთ ჩამოთვლილ წესებსა და პირობებს.

1. განმარტებები

1.1. Bolt (ასევე მოხსენიებული როგორც "ჩვენ" ან "ჩვენი") – Bolt Operations OÜ ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომლის რეგისტრაციის კოდია 14532901, რეგისტრირებული ოფისის მისამართია: ვანა-ლოუნა 15, ტალინი 10135 ესტონეთის რესპუბლიკა, ან Bolt ჯგუფის სხვა კომპანია ან პარტნიორი, სადაც სერვისის მიმწოდებელი არ არის Bolt Operations OÜ. Bolt ჯგუფის კომპანიების და პარტნიორების სია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <https://bolt.eu/cities/>

1.2. Bolt სერვისები – სერვისები, რომლებსაც Bolt უზრუნველყოფს: Bolt-ის აპლიკაცია და Bolt-ის პლატფორმა, ტექნიკური მომსახურება, კლიენტის მხარდაჭერა, თქვენსა და კლიენტს შორის გადახდები და კომუნიკაციასთან დაკავშირებული შუამდგომლობები ან სხვა მსგავსი დახმარების მომსახურებები.

1.3. Bolt აპლიკაცია – მობილური აპლიკაცია მძღოლებისა და მგზავრებისთვის, რათა გამოიძახონ და მიიღონ სატრანსპორტო მომსახურება.

1.4. Bolt პლატფორმა – ტექნოლოგია, რომელიც მგზავრებს მძღოლებთან აკავშირებს და ეხმარება მათ ქალაქებში კიდევ უფრო ეფექტურად გადაადგილებაში.

1.5. მგზავრი - ნებისმიერი პირი, რომელიც ითხოვს გადაადგილების მომსახურებას Bolt-ის პლატფორმით

1.6. მძღოლი (ასევე მოხსენიებული, როგორც "თქვენ") - პირი, რომელიც უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას Bolt-ის პლატფორმის მეშვეობით. თითოეულ მძღოლს ეძლევა პირადი ანგარიში Bolt-ის აპლიკაციისა და Bolt პლატფორმის გამოსაყენებლად.

1.7. ხელშეკრულება – წინამდებარე ხელშეკრულება მძღოლს და Bolt-ს შორის Bolt სერვისების გამოყენების შესახებ, რომელიც შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

1.7.1. წინამდებარე ზოგადი პირობები;

1.7.2. Bolt აპლიკაციაში წარმოდგენილი სპეციალური პირობები, მაგალითად, ფასის ან სერვისის აღწერის შესახებ;

1.7.3. მძღოლების სახელმძღვანელოები, და

1.7.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული სხვა პირობები, რომლებშიც პერიოდულად შედის შესწორებები.

1.8. მგზავრობის ღირებულება – კლიენტის ვალდებულება ავინაზლაურით სატრანსპორტო მომსახურება

1.9. Bolt-ის მოსაკრებელი – მოსაკრებელი, რომელიც ვალდებული ხარტ, რომ გადაუხადოთ Bolt-ს, Bolt-ის პლატფორმით სარგებლობისას.

1.10. აპლიკაციით გადახდა – მგზავრობის ანაზღაურების მეთოდი, რომელიც ხორციელდება კლიენტის მიერ აპლიკაციის გამოყენებით. აპლიკაციით გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს საბანკო/საკრედიტო ბარათებით, კორპორატიული, მობილური ან Bolt-ის მიერ დაშვებული სხვა გადახდის მეთოდებით

1.11. Bolt-ის მძღოლის პორტალი – პორტალი რომელიც მოიცავს რელევანტურ ინფორმაციას და საბუთებს რომელიც დაკავშირებულია თქვენი Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებასა და მგზავრობის სერვისის მიწოდებასთან, ასევე მოიცავს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციას. Bolt-ის მძღოლის პორტალზე შესვლა შესაძლებელია ვებ გვერდზე <https://partners.bolt.eu> მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანით.

1.12. Tip — მგზავრის სურვილით, მისი შეხედულებისამებრ, მადლიერების ნიშნად დატოვებული დამატებითი თანხა.

1.13. სატრანსპორტო მომსახურება — სატრანსპორტო მომსახურება გაინევა თქვენ მიერ იმ კლიენტის მიმართ ვისი მოთხოვნაც მიღებული გაქვთ Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებით.

2. ხელშეკრულების გაფორმება

2.1. Bolt სერვისებით სარგებლობამდე უნდა გაიაროთ რეგისტრაცია, წარმოადგინოთ მოთხოვნილი ინფორმაცია ვებ-გვერდზე განთავსებულ შესაბამის აპლიკაციაში და ატვირთოთ ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჭირო დოკუმენტაცია. დარეგისტრირება შესაძლებელია როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირის სახით. რეგისტრაციის წარმატებით დარეგისტრირების შემდეგ Bolt უზრუნველყოფს თქვენთვის პირად ანგარიშს, რომელზე წვდომა შესაძლებელი იქნება თქვენ მიერ შერჩეული მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. „რეგისტრაციის გავლის“ ლილაკზე დაწკაპუნებით, ლიცენზიის მიმღები ადასტურებს რომ:

2.1.1. ის უფლებამოსილია კანონის შესაბამისად გააფორმოს ხელშეკრულება Boltთან, რათა Bolt-ის აპლიკაციის მეშვეობით მიაწოდოს სატრანსპორტო მომსახურება;

2.1.2. მან ყურადღებით შეისწავლა და სრულად გაიგო საერთო პირობები, მათ შორის ამ ხელშეკრულებაში წარმოდგენილი ყველა ვალდებულება, რომელიც წარმოექმნება ლიცენზიის მიმღებს;

2.1.3. მიწოდებული ყველა ინფორმაცია ზუსტი, სწორი და სრულია;

2.1.4. თქვენ მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს Bolt მძღოლის ანგარიშის სიზუსტე და პროფილის ინფორმაციის მუდმივი განახლება;

2.1.5. უფლებას არ ანიჭებს სხვა პირებს გამოიყენონ ლიცენზიის მიმღებების ანგარიში, ან გადასცენ ის ნებისმიერ სხვა პირს;

2.1.6. არ გამოიყენებს Bolt-ის მომსახურებას ნებართვის გარეშე ან არაკანონიერი მიზნებისთვის და ზიანს არ მიაყენებს Bolt-ის აპლიკაციის სათანადო მოქმედებას;

2.1.7. მუდმივად შეასრულებთ იმ ქვეყნისა და ქალაქის ყველა წესსა და კანონს სადაც გასწევთ სატრანსპორტო მომსახურებას, მათ შორის (და არა მხოლოდ) დაიცავთ იმ კანონებს რომელიც გულისხმობს მგზავრისთვის სატრანსპორტო მომსახურების გაწევას;

2.2. რეგისტრაციის გავლისას, საბანკო დეტალების შევსებისას თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ საბანკო ანგარიში. თუ ანგარიშის მფლობელი იურიდიული პირია, მან უნდა მიუთითოს კომპანიის საბანკო ანგარიში. Bolt ახორციელებს აპლიკაციით გადახდილი თანხების ტრანზაქციას იმ საბანკო ანგარიშზე რომელსაც თქვენ გვანვდით. Bolt არ აგებს პასუხს არასწორ ტრანზაქციაზე თუ კი თქვენ მიერ მოწოდებული საბანკო ანგარიში არასწორია.

2.3. აპლიკაციის შევსების შემდეგ თქვენ მიიღებთ ელექტრონულ ფოსტას დამატებითი პირობებით, რომელიც საჭიროებს წარმოადგენს Bolt-ის მომსახურების განვითარების. ეს მოთხოვნები შესაძლოა იყოს, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, მოქმედი მართვის მოწმობა, ავტომობილის დამაკმაყოფილებელი ტექ-დათვალიერების სერთიფიკატი, აპლიკაციის გამოყენების სასწავლო კურსის გავლა, GPS- ის მხარდაჭერის მქონე მობილური მონაცემების ქონა და სხვა პირობები რომლებიც აღწერილი იქნება

შესაბამის ელექტრონულ წერილში. მოთხოვნების სრულად არ წარდგენის შემთხვევა გამოიწვევს ხელშეკრულების გაუქმებას და Bolt-ის აპლიკაციის გამოყენების უფლების შეზღუდვას.

2.4. თქვენ ეთანხმებით, რომ კონკრეტულ ქალაქებსა და ქვეყნებში Bolt Operations OÜ-მ შესაძლოა თავისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები გადააბაროს Bolt ჯგუფის კომპანიებს და პარტნიორებს. უფლებებისა და ვალდებულებების გადაბარება შესაძლოა შეიცავდეს აპლიკაციის შევსებისა და რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის გადახედვას, ტრენინგს, Bolt-ის მოსაკრებლის შეგროვებას, შუამავლობას აპლიკაციით გადახდისას, Bolt-ის აპლიკაციის ლიცენზირებასა და სხვა. შვილობილის შესახებ დეტალების მოძიება შესაძლებელია ვებ გვერდზე <https://bolt.eu/cities>.

2.5. ანგარიშის რეგისტრაცია იურიდიული პირებისთვის (მაგ. კომპანია). თქვენ იურიდიულ პირად ითვლებით, თუ თქვენი გადახდის რეკვიზიტებში (რომელიც ხელმისაწვდომია Bolt მძღოლის პორტალზე) მოსაკრებლების მიმღებში იურიდიული პირია აღნიშნული. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული იურიდიული პირი ითვლება სატრანსპორტო მომსახურებების მომწოდებლად და წინამდებარე ზოგადი პირობების, ისევე როგორც ხელშეკრულების ნებისმიერი შემდგომი დოკუმენტების მხარედ. მხოლოდ იმ კონკრეტულ ფიზიკურ პირს, რომელიც მიეთითება რეგისტრაციის გავლისას, შეუძლია ფაქტობრივად უზრუნველყოს სატრანსპორტო მომსახურებები. ასეთ ფიზიკურ პირს შეუძლია გამოიყენოს მძღოლის ანგარიში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გაეცნობა და თანახმა იქნება, რომ დაიცვას აღნიშნული ზოგადი პირობები და ნებისმიერი შემდგომი დოკუმენტაცია, რომელიც გახდება ხელშეკრულების ნაწილი.

ლებ

ენ BOLT-

2.6. Bolt მძღოლის ანგარიშის რეგისტრაცია ავტოპარკის მფლობელად. Bolt-თან ცალკე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ავტოპარკს შეუძლია თავად დაარეგისტრიროს ანგარიშები თავისი თანამშრომლებისთვის ან/და მომსახურების მიმწოდებლებისთვის. ასეთ შემთხვევაში ავტოპარკი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი თანამშრომლები ან/და მომსახურების მიმწოდებლები იცავდნენ ზოგადი პირობებისა და ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების მოთხოვნებს და ასევე ვალდებულია, რომ იმოქმედოს და შეასრულოს ხელშეკრულების პირობები და ვალდებულებები. ავტოპარკი და მისი თანამშრომლები ან / და მომსახურების მიმწოდებლები ერთობლივად და ცალ-ცალკე იქნებიან პასუხისმგებელი ასეთი თანამშრომლის და / ან მომსახურების მიმწოდებლის მიერ ჩადენილ დარღვევაზე.

3. Bolt აპლიკაციისა და მძღოლის პორტალის გამოყენების უფლებამოსილება

3.1. Bolt-ის აპლიკაციის და მძღოლის ანგარიშის გამოყენების ლიცენზია. თქვენი შეთანხმების შესაბამისად, ჩვენ განიჭებთ ლიცენზიას, ისარგებლოთ Bolt აპლიკაციით და Bolt მძღოლის ანგარიშით. ლიცენზია არ განიჭებთ უფლებამოსილებას, გასცეთ ქვე-ლიცენზია ან უფლებები გადასცეთ მესამე პირს. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული იქნება ცალკე შეთანხმება, ავტოპარკის კომპანიები უფლებამოსილი იქნებიან, ქვე-ლიცენზიით გასცენ Bolt აპლიკაცია და Bolt მძღოლის ანგარიში საკუთარი ავტოპარკის წევრებზე

3.2. Bolt-ის აპლიკაციით და / ან მძღოლის ანგარიშით სარგებლობისას თქვენ არ ხართ უფლებამოსილი:

3.2.1. მოახდინოთ პროგრამის დეკომპილაცია, საინჟინრო ანალიზი, ან სხვაგვარად შეეცადოთ მოიპოვოთ Bolt-ის აპლიკაციის, Bolt-ის მძღოლის ანგარიშის, ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის კოდი

3.2.2 შეცვალოთ Bolt აპლიკაცია ან Bolt მძღოლის ანგარიში ნებისმიერი სახით თუ ფორმით ან ისარგებლოთ Bolt აპლიკაციის ან Bolt მძღოლის ანგარიშის შეცვლილი ვერსიებით;

3.2.3 გადაავაზნოთ ფაილები, რომლებიც შეიცავს ვირუსებს, დაზიანებული ფაილები, ან სხვა პროგრამები, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს ან უარყოფითად იმოქმედოს Bolt-ის პლატფორმაზე.

3.2.4 მცდელობა, მოიპოვოთ Bolt-ის აპლიკაციის, მძღოლის ანგარიშის, ან Bolt-ის სხვა მომსახურებაზე არასანქცირებული წვდომა.

3.3. წინამდებარე საერთო პირობების საფუძველზე მინიჭებული ლიცენზია ავტომატურად გაუქმდება ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოთ Bolt-ის აპლიკაციის და მძღოლის ანგარიშის გამოყენება. Bolt-ს უფლება აქვს დაბლოკოს და წაშალოს თქვენი ანგარიში წინასწარი შეტყობინების გარეშე.

3.4. Bolt-ის იარლიყებისა და ეტიკეტების გამოყენება. დამატებით, Bolt-ს შეუძლია გადმოგცეთ იარლიყები, ეტიკეტები, სტიკერები ან სხვა ნიშნები, რომლებიც ეხება Bolt-ს, ან სხვაგვარად მიაწოდებს იმაზე, რომ თქვენ იყენებთ Bolt-ის აპლიკაციას. ჩვენ განიჭებთ არაექსკლუზიურ, არალიცენზირებად, არაგადაცემად ლიცენზიას ასეთი ნიშნების გამოყენებაზე და მხოლოდ იმის მისათითებლად, რომ თქვენ უზრუნველყოფთ სატრანსპორტო მომსახურებებს Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებით. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წაშალოთ და გააუქმოთ ნებისმიერი ნიშანი, რომელიც ეხება Bolt-ს ან მის ბრენდს.

3.5. ყველა საავტორო უფლება და სავაჭრო ნიშნები, მათ შორის პროგრამული უზრუნველყოფის კოდი, მონაცემთა ბაზა, ლოგოებისა და ვიზუალური დიზაინის ჩათვლით, ეკუთვნის Bolt-ს და დაცულია საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნების და სავაჭრო საიდუმლოს დაცვის შესახებ კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებებით. Bolt-ის პლატფორმის, ან Bolt-ის სხვა მომსახურებების გამოყენებით თქვენ არ იძენთ საკუთრების უფლებას Bolt-ის ნებისმიერ ინტელექტუალურ საკუთრებაზე.

4. სატრანსპორტო მომსახურების განვლა

4.1. მძღოლის ვალდებულება. წინამდებარე ხელშეკრულებით თქვენ გარანტიას იძლევით, რომ უზრუნველყოფთ სატრანსპორტო მომსახურებას იმ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, სადაც თქვენ ხართ რეგისტრირებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების ნებისმიერ დარღვევაზე, რაც შეიძლება წარმოიშვას სატრანსპორტო სერვისის მიწოდებისას.

4.2. თქვენ უნდა ფლობდეთ ყველა ლიცენზიას (მათ შორის მოქმედ მართვის მოწმობას), ნებართვას, ავტომობილის დაზღვევას, პასუხისმგებლობის დაზღვევას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სარეგისტრაციო ცნობებს, სერტიფიკატს და სხვა დოკუმენტაციას, რომელიც აუცილებელია მოქმედ იურისდიქციაში სატრანსპორტო მომსახურების მიწოდებისათვის. თქვენ პასუხისმგებელი ხართ იმაზე, რომ ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მოქმედების ვადა იყოს ძალაში. Bolt უფლებას იტოვებს მოითხოვოს თქვენგან მტკიცებულებების წარმოდგენა და ყველა აუცილებელი ლიცენზიის, ნებართვის, თანხმობის, ავტორიზაციის, რეგისტრაციის და სერტიფიკატის განსახილველად წარდგენა და ასევე მათი განახლება.

4.3. თქვენ უნდა უზრუნველყოთ სატრანსპორტო მომსახურება პროფესიულად სატრანსპორტო მომსახურებისთვის მოქმედი ეთიკური ნორმების შესაბამისად და შეასრულოთ კლიენტის მოთხოვნა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, თქვენ უნდა (i) აირჩიოთ მომხმარებლისათვის ყველაზე ნაკლებ ღირებული მარშრუტი, თუ კლიენტი სხვაგვარად არ მოითხოვს; (ii) არ გაქვთ უფლება უნებართვო გაჩერებაზე; (iii) გეკრძალებათ სხვა მგზავრის წაყვანა ავტომანქანით, გარდა მომხმარებლისა და მისი თანხმობის პირობისა და (iv) ვალდებული ხართ, დაიცვათ მოქმედი საგზაო წესების აქტები და რეგულაციები, ანუ არ განახორციელოთ ისეთი ქმედება, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს ავტომანქანის მართვა ან საგზაო მოძრაობის პირობების აღქმა, მათ შორის, გადაადგილების დროს ხელში არ უნდა გეჭიროთ ტელეფონი.

4.4. თქვენ იტოვებთ უფლებას განსაზღვროთ როდის და რა დროის მანძილზე გასწევთ სატრანსპორტო მომსახურებას. თქვენ თვითონ გადანაცვლებთ მგზავრის მიერ მოთხოვნილი შეკვეთებიდან რომელს მიიღებთ, უარყოფთ ან დააიგნორებთ.

4.5. სატრანსპორტო მომსახურების განევის შედეგად გამოწვეული ხარჯი. თქვენ ვალდებული ხართ გასწიოთ და იზრუნოთ იმ ალტერნატივაზე რომელიც საჭიროა ტრანსპორტირების მომსახურების გასაწევად, მათ შორის ავტომობილზე, სმარტ მონოპოლიზაზე, ინტერნეტის მონოპოლიზაზე და სხვ. ასევე თქვენ ხართ პასუხისმგებელი იმ ხარჯებზე რომელსაც ტრანსპორტირების მომსახურების განხორციელებისას გასწევთ, მათ შორის და არა მხოლოდ, სანავიგაციო, მობილური ინტერნეტი, სატელეფონო მომსახურების გადასახადები, ავტომობილის ამორტიზაცია, დაზღვევა, შესაბამისი კორპორატიული და ჩარიცხული თანხების გადასახადები და სხვ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ Bolt აპლიკაციის გამოყენებისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს თქვენი მობილური მონაცემების გეგმაში დიდი რაოდენობით მონაცემების მოხმარება. შესაბამისად, ჩვენ რეკომენდაციას გინებთ მონაცემთა გეგმა გამოიწეროთ შეუზღუდავი ან ძალიან მაღალი შესაძლებლობით.

4.6. მგზავრობის ღირებულება. თქვენ უფლებამოსილი ხართ მოითხოვოთ ანაზღაურება ყოველი ჯეროვნად შესრულებული იმ შეკვეთისთვის რომელიც განხორციელდა მგზავრის მიერ Bolt-ის აპლიკაციით გამოყენების შედეგად. მგზავრობის ღირებულება განისაზღვრება საბაზისო ფასით, იმ მანძილის გავლით რაც კონკრეტული შეკვეთის შესრულებისთვის დაფარეთ, რაც თქვენი მონოპოლიზის GPS-ის მონაცემებზე დაყრდნობით ხორციელდება და ასევე იმ დროზე დაყრდნობით რაც კონკრეტული მგზავრობის განხორციელებას დასჭირდება. სტანდარტული საბაზისო ტარიფმა შეიძლება განიცადოს ცვლილება ადგილობრივ ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. აპლიკაციის შიდა გადახდის მქონდე მარკეტებზე, თქვენ შეგიძლიათ მოლაპარაკება აწარმოოთ ფასზე შესაბამისი მოთხოვნის გამოგზავნით ციფრულად ან ხელით. გარდა ამისა, თქვენ ყოველთვის გაქვთ უფლება, რომ დააკისროთ კლიენტს იმაზე ნაკლები გადასახადი, ვიდრე Bolt-ის აპლიკაციაში მითითებული ტარიფია. გაითვალისწინეთ, რომ კლიენტისთვის Bolt-ის აპლიკაციის მაჩვენებლებზე ნაკლები გადასახადის დაკისრება არ ამცირებს Bolt-ის მოსაკრებელს.

4.7. წინასწარ განსაზღვრული საფასური. შესაძლებელია, მგზავრმა მიიღოს შეთავაზება, ისარგებლოს წარმოდგენილი შეთავაზებით, რაც საშუალებას აძლევს, დათანხმდეს ფიქსირებულ საფასურზე თქვენს მიერ შესრულებული ტრანსპორტირების მომსახურებისთვის (ე.ი.წინასწარ განსაზღვრული საფასური). წინასწარ განსაზღვრული საფასური მგზავრს ეცნობება Bolt აპლიკაციის მეშვეობით მგზავრობის დაწყებამდე, ხოლო თქვენ - მგზავრის თანხმობის შემთხვევაში, ან მგზავრობის დასრულების ბოლოს. 4.6 პარაგრაფის მიხედვით გამოთვლილი საფასური გამოყენებული იქნება წინასწარ განსაზღვრული საფასურის ნაცვლად, იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი მგზავრობის დაწყების შემდეგ შეცვლის დანიშნულების ადგილს, მგზავრობას მატერიალურად იმაზე მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე ნავარაუდევო იყო საგზაო ან სხვა ფაქტორების გამო, ან როდესაც სხვა მოულოდნელი გარემოებები მატერიალურად მოქმედებს ტრანსპორტირების მახასიათებლებზე (მაგ. მარშრუტი გადის იმ გზაზე, რომლის გამოყენებისთვისაც დაწესებულია გადასახადი).

4.8. თუ აღმოაჩენთ, რომ მგზავრობის საფასურის გამოთვლისას დაშვებული იქნა შეცდომა ან გასურთ საფასურის გამოთვლაში კორექტირების შეტანა, საჭიროა, განაცხადოთ წარადგინოთ Bolt აპლიკაციის სექციაში „მგზავრობის საფასურის გადახედვა“. წინააღმდეგ შემთხვევაში Bolt არ მოახდენს მგზავრობის საფასურის ხელმეორედ გამოთვლას ან არ აგინაზღაურებთ საფასურის არასწორად გამოთვლის შედეგად მიყენებულ ზარალს.

4.9. Bolt იტოვებს უფლებას დააკორექტიროს კონკრეტული შესრულებული შეკვეთის ღირებულება, თუ გამოვლინდება დარღვევა (როგორიცაა მგზავრის გრძელი მარშრუტით წაყვანა ან მგზავრობის დასრულების შემდეგ Bolt-ის აპლიკაციის მრიცხველის დაუყოვნებლივ არ გამორთვა) ან ტექნიკური ხარვეზი, რომელიც აისახა მგზავრობის საბოლოო ფასზე. Bolt ასევე იტოვებს უფლებას გააუქმოს ან შეამციროს მგზავრობის

ღირებულება იმ შემთხვევაში თუ გვაქვს თაღლითობის საფუძვლიანი ეჭვი ან კლიენტის მითითება თქვენ მიერ წესების დარღვევის შესახებ.ამავდროულად Bolt მხოლოდ დასაბუთებული და სამართლიანი გზით მოახდენს მგზავრობის ღირებულების შემცირებას ან გაუქმებას.

4.10. მომხმარებელს შეუძლია გადაიხადოს მგზავრობის ღირებულება როგორც ხელზე ასევე აპლიკაციით გადახდის მეთოდით როგორც ეს აღწერილია ზოგადი დებულებების მე-6 მუხლში. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი პირდაპირ გადაიხდის მგზავრობის საფასურს, თქვენ ვალდებული ხართ აიღოთ ეს თანხა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვერ იხდის ან უარს ამბობს გადახდაზე, Bolt თქვენი სახელით გაუგზავნის შეტყობინებას მგზავრს დავალიანების შესახებ. აღნიშნული უფლებამოსილება მომდინარეობს საგადახდო აგენტის მიერ Bolt-თვის მინიჭებული მანდატიდან და არ ითვალისწინებს მგზავრის მიერ მგზავრობის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში Bolt-ის მიერ ზარალის ანაზღაურებას. იმ შემთხვევაში, თუ ავტომანქანაში მყოფი მგზავრები არ თანხმდებიან ტრანსპორტირების მომსახურების საფასურის გადახდას, საფასურის გადახდა დაეკისრება მგზავრს, რომელმაც განახორციელა შეკვეთა სატრანსპორტო მომსახურების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი სათანადო მტკიცებულების საფუძველზე უარს აცხადებს საფასურის გადახდაზე, რადგან Bolt აპლიკაციაში მითითებული ინფორმაცია არასწორია, Bolt არ აგინაზღაურებთ ასეთ ხარჯებს.

4.11 Tip. მგზავრებს აქვთ შესაძლებლობა, დაგიტოვოთ Tip სატრანსპორტო მომსახურების წარმატებით მიწოდების შემდეგ. მგზავრს შეუძლია დაგიტოვოთ Tip მხოლოდ Bolt-ის ავტორიზებული აპლიკაციით. Tip-ზე არ ვრცელდება Bolt-ის მოსაკრებლი. Bolt-ს შეხედულებისამებრ შეუძლია შეზღუდოს Tip-ის მაქსიმალური მოცულობა.თქვენ ვალდებული ხართ სრულად შეასრულოთ Ti-ის დატოვებისას წარმოქმნილი ყველა საგადასახადო ვალდებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.12. ქვითრები. თითოეული სატრანსპორტო მომსახურების წარმატებით განხორციელების შემდეგ Bolt შექმნის და მგზავრს გაუგზავნის ქვითარს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კომპანიის ბიზნეს-დასახელება, საქმიანობის ადგილი, მძღოლის სახელი და გვარი, მძღოლის ფოტო, სამსახურებრივი ლიცენზიის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ავტომანქანის სარეგისტრაციო ნომერი, მგზავრობის თარიღი, დრო, დანყების და დასრულების ადგილები, ხანგრძლივობა და მანძილი,დატოვებული Tip, სატრანსპორტო მომსახურების საფასური და გადახდილი ოდენობა. თითოეული სატრანსპორტო მომსახურების ქვითარი ხელმისაწვდომია თქვენთვის Bolt მძღოლის ანგარიშზე.

4.13. გაუქმების საფასური და ლოდინის საფასური მგზავრმა შესაძლოა გააუქმოს ტრანსპორტირების მომსახურების მოთხოვნა, რომელიც მძღოლმა Bolt აპლიკაციის მეშვეობით მიიღო. მძღოლს უფლება აქვს, მოითხოვოს ტრანსპორტირების მომსახურების გაუქმებული მოთხოვნის საფასური (გაუქმების საფასური) იმ შემთხვევაში, თუ მგზავრი გააუქმებს ტრანსპორტირების მომსახურების მოთხოვნას Bolt აპლიკაციით განსაზღვრული გარკვეული პერიოდის შემდეგ.

4.14. თუ მგზავრობისას კლიენტმა ან მისმა თანამგზავრმა გულგრილად დააზიანა თქვენი მანქანა ან მისი აღჭურვილობა (მათ შორის დაალაქავა, შეღება ავტომობილი ან არასასიამოვნო სუნი დატოვა მასში) თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ მგზავრისგან ჯარიმა 50 (ორმოცდაათ) ევროს და ასევე მოითხოვოთ კომპენსაცია მის მიერ განეული ყოველი ზარალისთვის. თუ კლიენტი უარს აცხადებს ჯარიმის გადახდაზე ან/და ზარალის კომპენსაციაზე, თქვენ უნდა შეგვატყობინოთ ასეთი შემთხვევა Bolt-ს რომელიც ეცდება კლიენტისგან თქვენს სასარგებლოდ შეაგროვოს ჯარიმა და რეალური ზარალის ღირებულება. ამასთანავე გაითვალისწინეთ, რომ Bolt არ იღებს ვალდებულებას მგზავრის მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მიყენებულ ზარალზე, ავტომობილის წმენდასთან ან მოვლასთან დაკავშირებით

4.15. თქვენი საგადასახადო ვალდებულებები. წინამდებარე პირობებით თქვენ აღიარებთ, რომ ვალდებული ხართ სრულად შეასრულოთ ყველა საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოგექმნებათ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მათ შორის: (i) საშემოსავლო გადასახადი, სოციალური დაცვის გადასახადი, ან სხვა მოქმედი გადასახადის გადახდა; და (ii) თანამშრომლების და გადასახადების რეგისტრაციის ვალდებულებების შესრულება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის ანგარიშგების და გადარიცხვების წარდგენის მიზნით, მოქმედი კანონის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო უწყება წარმოგიდგენს საფუძვლიან განცხადებას თქვენი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით, უფლებამოსილი ვართ, საგადასახადო უწყებას მივანოდოთ თქვენი საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია მოქმედი სამართლებრივი აქტების ფარგლებში. ამასთან, ვალდებული ხართ, ზედმინევნიტ შეასრულოთ ტრანსპორტირების მომსახურებასთან დაკავშირებით მოქმედი ყველა საგადასახადო რეგულაცია. თანხმობას აცხადებთ, აუნაზღაუროთ Bolt-ს ყველა სახელმწიფო მოსაკრებელი, ჯარიმა, გადასახადი, ბაჟი ან სხვა საგადასახადო ვალდებულება, რომელიც Bolt-ს დაეკისრება თქვენ მიერ შესაბამისი საგადასახადო რეგულაციების შეუსრულებლობის გამო (მათ შორის საშემოსავლო და სოციალური გადასახადების გადახდა).

4.16. ინვოისების გაცემის უფლებამოსილება. Bolt-ს აქვს უფლებამოსილება გასცეს ინვოისი თქვენი სახელით მგზავრზე, რათა აგინაზღაუროთ ნებისმიერი ხარჯი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმები ან სხვა მოსაკრებლები, რომლებსაც Bolt თქვენთან შუამავლობს. ინვოისის გაცემისას, ის დაუყოვნებლივ გახდება ხელმისაწვდომი მძღოლის პორტალის საშუალებით.

5. Bolt-ის მოსაკრებელი

5.1. იმისთვის რომ გამოიყენოთ Bolt-ის აპლიკაცია, თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ მოსაკრებელი. მოსაკრებლის გადახდა ხდება თქვენ მიერ შესრულებული თითოეული სატრანსპორტო მომსახურების შეკვეთის საფუძველზე. Bolt-ის მოსაკრებლის ოდენობა ცნობილი გახდება თქვენთვის ელექტრონული ფოსტით, Bolt-ის აპლიკაციის, მძღოლის პორტალის ან სხვა შესაბამისი საშუალებებით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ Bolt-ის მოსაკრებელი შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს დინამიური საკომისიოს პრინციპებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს (i) ტრანსპორტირების სერვისზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსს, (ii) მგზავრობის მახასიათებლებს და (iii) კამპანიის პირობებს. Bolt-ის მოსაკრებელი არ უნდა გასცდეს Bolt-ის საკომისიოს დაწესებულ ზედა ზღვარს, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოგაწოდეთ ("Bolt-ის საკომისიოს ზედა ზღვარი"). თუმცა, ჩვენ შესაძლოა შევცვალოთ Bolt-ის საკომისიოს ზედა ზღვარი ნებისმიერ დროს და შეგატყობინოთ ცვლილების შესახებ.

5.2. თქვენ უნდა გადაუხადოთ Bolt-ს წინა თვის მოსაკრებელი და სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდეგი თვის 15 რიცხვამდე. სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში თქვენ უნდა გადაიხადოთ დაგვიანებისთვის საურავი დღეში გადაუხდელი თანხის 0.04%-ს (ნოლი მთელი ნოლ ოთხი პროცენტი) ოდენობით. თქვენ ვალდებული ხართ, დაფაროთ ჩვენ მიერ გაღებული ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ვალის ამოღების ღონისძიებებთან.

6. აპლიკაციით გადახდა

6.1. ჩვენ შეიძლება საშუალება მივცეთ მომხმარებლებს გადაიხადონ სატრანსპორტო მომსახურების საფასური საბანკო ბარათის მეშვეობით, მობილური კავშირის ოპერატორის მეშვეობით და სხვა მეთოდებით (Bolt Business და ა.შ) პირდაპირ აპლიკაციაში (მაგ. აპლიკაციით გადახდა). წინამდებარე პირობებით, თქვენ უფლებას გვანიჭებთ, რომ ვიმოქმედოთ როგორც თქვენმა შეზღუდულმა კომერციულმა აგენტმა, მივიღოთ მგზავრის მიერ გადახდილი ტარიფები ან სხვა საკომისიო, რომელიც გადაიხდა აპლიკაციისში გადახდის მეშვეობით და გამოგიგზავნოთ შესაბამისი თანხები. აპლიკაციით გადახდის მეშვეობით მგზავრის მიერ საგადახდო ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვლება გადახდის განხორციელებისთანავე.

6.2. თქვენ უფლება არ გაქვთ უარი თქვათ კლიენტის მიერ აპლიკაციის მეშვეობით გადახდის განხორციელებაზე ან გავლენა იქონიოთ კლიენტზე აპლიკაციით გადახდის გამოყენებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენ დაუსაბუთებლად განაცხადებთ უარს აპლიკაციით გადახდის მიღებაზე, **Bolt**-ს უფლება აქვს ყოველ უარზე დაგაკისროთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა 15 ევროს ოდენობით ან/და განმეორების შემთხვევაში შეგიზღუდოთ უფლება გამოიყენოთ **Bolt**-ის აპლიკაცია.

6.3. **Bolt** უფლებას იტოვებს, ჩვენი შეხედულებისამებრ გაავრცელოს პრომო კოდი სარეკლამო აქციის ფარგლებში. ვალდებული ხართ, დათანხმდეთ პრომო კოდის გამოყენებას, როდესაც მგზავრი შეიყვანს პრომო კოდს აპლიკაციაში ბარათით გადახდის დროს. ნაღდი ანგარიშსწორების დროს პრომო კოდი შესაძლოა არ იყოს გააქტიურებული. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი პრომო კოდების თაღლითურად, უკანონოდ გამოყენების, მძღოლის მიერ პრომო კოდის გამოყენებასთან დაკავშირებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, პრომო კოდი შესაძლოა გაუქმდეს და მძღოლს სხვაობა არ ანაზღაურდეს **Bolt**-ის მიერ.

6.4 თუ ფუნქცია ხელმისაწვდომია და მგზავრი გადაწყვეტს თქვენთვის **Tip**-ის დატოვებას **Bolt**-ის აპლიკაციის საშუალებით, **Bolt** შეაგროვებს **Tip**-ებს მგზავრის მიერ გადახდილ საფასურსა და სხვა გადასახადებთან ერთად აპლიკაციის შიდა გადახდისას. თუ **Tip** მიიჩნევა როგორც თაღლითური, არალეგალური, მძღოლის მიერ გაწეული სატრანსპორტო მომსახურებისთვის გამოხატული მადლიერების გარდა სხვა მიზნის მქონე ან მძღოლის მიერ მისი გამოყენება ეწინააღმდეგება ჩვენს ზოგად წესებს, **Tip** დარჩება **Bolt**-ის საკუთრებაში.

6.5. თქვენ გაქვთ უფლება გაეცნოთ აპლიკაციის შიდა/ბარათით გადახდებს **Bolt Driver** ან **Bolt** აპლიკაციაში. აპლიკაციაში ნაჩვენები იქნება როგორც წინა კვირის გადახდები, ისე **Bolt**-ის მოსაკრებელი ჩამოჭრილი რაოდენობა. აუცილებლად შეგვატყობინეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჩვენს შეთანხმებაზე მგზავრობის საფასურის აპლიკაციის შიდა/ბარათით გადახდების შეგროვებასა და გადანაწილებასთან დაკავშირებით.

6.6. **Bolt** ვალდებული არ არის გადაგიხადოთ კლიენტის მხრიდან გადასახდელი საფასური, თუ აპლიკაციით გადახდა ვერ განხორციელდება კლიენტის საკრედიტო ბარათის ან სხვა გადახდის გაუქმების ან წარუმატებლად შესრულების შედეგად. ასეთ შემთხვევაში ჩვენ დაგეხმარებით კლიენტის მხრიდან გადასახდელი საფასურის მოთხოვნასთან დაკავშირებით და დაგირიცხავთ თანხას მას შემდეგ, რაც კლიენტი განახორციელებს მოთხოვნილ გადახდას.

6.7. სატრანსპორტო მომსახურებების განვამდე, თქვენ უნდა გადაამოწმოთ, რომ სერვისი მიეწოდება სწორ მგზავრს და/ან კლიენტმა დაადასტურა, რომ ის ნებას რთავს სხვა მგზავრებს იმგზავრონ მისი ანგარიშით. თუ თქვენ არასწორად ამოიცნობთ კლიენტს და აპლიკაციით გადახდა დაეკისრება პირს, რომელსაც არ გაენია მომსახურება ან არ ადასტურებს სატრანსპორტო მომსახურების განვების ნებართვას აღნიშნული მგზავრისთვის, **Bolt** აუნაზღაურებს კლიენტს მგზავრობის საფასურს. ასეთ შემთხვევაში თქვენ არ გაქვთ უფლება მიიღოთ გადასახადი **Bolt**-სგან. გარდა ამისა, აპლიკაციით გადახდის ყოველ არასწორ გამოყენებაზე, **Bolt** უფლებამოსილია დაგაკისროთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა 10 ევროს ოდენობით.

6.8 გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ მგზავრობის თანხებსა და **Tip**-ებს, რომელთა გადახდა მოხდა აპლიკაციით/ბარათით, ვაკლბთ იმ რაოდენობას, რომელიც გმართებს ჩვენს მიმართ (მაგ. **Bolt**-ის საკომისიო და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმები). ჩვენ ვიტოვებთ უფლებას აღვასრულოთ თქვენი ნებისმიერი ფინანსური პასუხისმგებლობა **Bolt** ჯგუფის ნებისმიერ კომპანიასთან მიმართებით, რა შემთხვევაშიც მოვიპოვებთ უფლებას აღვძრაოთ სარჩელი თქვენს წინააღმდეგ. ჩვენ შეიძლება დაგუპირისპიროთ თქვენს ნებისმიერი ფინანსურ ვალდებულებას ის ფინანსური პასუხისმგებლობები, რომლებიც შესაძლოა გქონდეთ ჩვენს მიმართ.

6.9. იმ შემთხვევაში, თუ არ შეგვიძლია თქვენთვის მომსახურების საფასურის ან **Tip**-ის გადახდა იმის გამო, რომ თქვენ მიერ არ არის მითითებული საბანკო რეკვიზიტები თქვენს მძღოლის ანგარიშში, ან საბანკო რეკვიზიტები არასწორად არის მითითებული, ასეთ თანხას **180** დღის განმავლობაში შევინახავთ. თუ აღნიშნული **180** დღის განმავლობაში სწორ საბანკო რეკვიზიტებს არ მოგვანვდით, ჩვენ მიერ თქვენთვის გადასახდელ თანხასთან და **Tip**-თან დაკავშირებული თქვენი საჩივრის ვადა ამოიწურება.

7. მხარდაჭერა

Bolt სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ უზრუნველყოფილია კლიენტის მხარდაჭერა მძღოლებისთვის. **Bolt**-ს უფლება აქვს შეწყვიტოს კლიენტთა მხარდაჭერის მომსახურება, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაავიანებთ გადასახადის გადახდას **5** (ხუთი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.

8. რეიტინგი და აქტივობა

8.1. პროგრამის საშუალებით მაღალხარისხიანი მომსახურებისა და თქვენი კლიენტებისთვის დამატებითი გარანტიების უზრუნველსაყოფად, თქვენ წინამდებარეთი ადასტურებთ, რომ კლიენტებს შეუძლიათ შეაფასონ და დატოვონ კომენტარი თქვენს მიერ მოწოდებული სატრანსპორტო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. თქვენი საშუალო რეიტინგი დაკავშირებული იქნება თქვენს მძღოლის ანგარიშთან და ხელმისაწვდომი იქნება მგზავრებისათვის **Bolt**-ის აპლიკაციაში. თუ ჩვენ, ჩვენი შეხედულებისამებრ, ჩავთვლით, რომ შეფასება ან კომენტარი არის არაკეთილსინდისიერად გაკეთებული, ჩვენ შეგვიძლია მისი უგულებელყოფა.

8.2. გარდა რეიტინგისა, **Bolt** ანალიზებს თქვენი საქმიანობის დონეს და განიჭებთ ქულას აქტივობისთვის, რომელიც ეფუძნება თქვენს საქმიანობას სატრანსპორტო მომსახურების შეკვეთების მიღებასთან, უარყოფასთან, რეაგირებასა და შესრულებასთან დაკავშირებით.

8.3. კლიენტებისთვის საიმედო მომსახურებების გაწევის მიზნით, **Bolt**-ს შეუძლია განსაზღვროს მინიმალური საშუალო რეიტინგი და მინიმალური აქტივობის ქულა, რომელიც ყველა მძღოლმა უნდა გათვალისწინოს და შეინარჩუნოს. თუ ჩვენი მხრიდან შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, თქვენ ვერ გაზრდით თქვენს საშუალო რეიტინგს ან აქტივობის ქულას მინიმალურზე მეტად, დადგენილ ვადაში, თქვენი ანგარიში ავტომატურად შეჩერდება დროებით ან მუდმივად. **Bolt**-ს შეუძლია გააუქმოს თქვენი ანგარიშის შეჩერება თუ აღნიშნული გამოწვეულია გარე გარემოებებით ან თუ გამოვლინდა, რომ შეჩერება გამოწვეულია სისტემის ცდომილებით ან არასწორი რეიტინგებით.

9. ბაზრის მიმოხილვა და კამპანიები

9.1. ბაზრის მიმოხილვა. ჩვენ შეიძლება **Bolt**-ის აპლიკაციის, **SMS**-ის (მოკლე ტექსტური შეტყობინება), ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან სხვა საშუალებებით გამოგიგზავნოთ, ბაზრის მიმოხილვა, რათა გაზარდოს თქვენი ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის აღწევს კლიენტის მოთხოვნა უმაღლეს მაჩვენებელს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ასეთი საბაზრო მიმოხილვები მხოლოდ რეკომენდაციული ხასიათისაა და არ წარმოადგენს რაიმე ვალდებულებას თქვენთვის. ვინაიდან ბაზრის მიმოხილვა შეფასებები ეფუძნება ადრინდელ სტატისტიკას, **Bolt** ვერ იძლევა რაიმე გარანტიას, რომ რეალური საბაზრო მდგომარეობა შესაბამისობაში იქნება ბაზრის მიმოხილვით გათვალისწინებულ შეფასებებთან.

9.2. კამპანიები მინიმალური შემოსავლის მიღების პირობით. **Bolt**-ს ასევე შეუძლია უზრუნველყოს კამპანიები, რომლის საშუალებით **Bolt** უზრუნველყოფს მინიმალურ შემოსავალს, თუ თქვენ უზრუნველყოფთ სატრანსპორტო მომსახურებებს განსაზღვრულ ვადებში. თუ აღნიშნული მინიმალური თანხა არ არის

გამომუშავებული, ჩვენ ავანაზღაურებთ სხვაობას. კონკრეტული მოთხოვნები და პირობები გაიგზავნება Bolt-ის აპლიკაციის, მძღოლის ანგარიშის, SMS-ის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საშუალებების მეშვეობით. Bolt-ს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს თუ როდის და რომელი მძღოლებისთვის გააქტიურებს ასეთ კამპანიებს. თუ Bolt-ს აქვს გონივრული მიზეზი ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ თქვენ ეწვეით თაღლითურ საქმიანობას, მან შეიძლება დააკავოს თქვენი გასამრჯელო, იქამდე, სანამ თაღლითობა არ იქნება გამორიცხული.

9.3. კლიენტებისთვის განკუთვნილი კამპანიები. Bolt ასევე შეუძლია პერიოდულად მოაწყოს სხვადასხვა კამპანია კლიენტებისთვის, რათა მოახდინოს Bolt-ის აპლიკაციების რეალიზაცია. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრების მიერ გადახდილი საფასური შემცირებულია ასეთი კამპანიის ფარგლებში, ჩვენ ვალდებული ვართ, გადაგიხადოთ კომპენსაცია მგზავრებისთვის შეთავაზებული შეღავათის ფულადი ოდენობით. უფლებამოსილი ვართ, დავფაროთ Bolt გადასახადის მარკეტინგული კომპენსაცია.

10. ურთიერთობები თქვენს, ჩვენსა და კლიენტებს შორის

10.1. წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე აცნობიერებთ და თანხმდებით, რომ ჩვენ უზრუნველყოფთ საინფორმაციო საზოგადოებრივ მომსახურებას და არა სატრანსპორტო მომსახურებას. Bolt პლატფორმის და Bolt სერვისების უზრუნველყოფით ვმოქმედებთ როგორც მგზავრების და მძღოლების მაკავშირებელი მარკეტინგული რგოლი, რათა დავეხმაროთ მათ ქალაქებში ეფექტურად გადაადგილებაში. აცნობიერებთ, რომ თქვენ ასრულებთ სატრანსპორტო მომსახურებას მგზავრთა გადაყვანის შესახებ გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე და ტრანსპორტირების მომსახურებას ასრულებთ დამოუკიდებლად ან კომპანიის მეშვეობით, ეკონომიკური და პროფესიული საქმიანობის სახით. Bolt, როგორც Bolt აპლიკაციის ოპერატორი, მოქმედებს როგორც მძღოლების კომერციული აგენტი მძღოლსა და მგზავრს შორის ხელშეკრულების შეამავლობის და ამით, სხვა საკითხებთან ერთად, იღებს გადახდებს მგზავრებისგან და უგზავნის მძღოლს გადახდებს.

10.2. თქვენ, აცნობიერებთ, რომ მხარეებს შორის ურთიერთობა არ წარმოადგენს დასაქმების ხელშეკრულებას და არც წარმოქმნის დასაქმების ურთიერთობას თქვენსა და ჩვენს შორის. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ თქვენსა და ჩვენს შორის არ არსებობს ერთობლივი საწარმო ან პარტნიორობა. თქვენ უფლებამოსილი არ ხართ იმოქმედოთ, როგორც ჩვენმა თანამშრომელმა, აგენტმა ან წარმომადგენელმა და/ან გააფორმოთ რაიმე ხელშეკრულება ჩვენი სახელით. თუ სავალდებულო კანონების ან სხვაგვარი ზემოქმედების გამო, თქვენ ჩაითვლებით ჩვენს თანამშრომლად, თქვენ თანახმა ხართ, უარი თქვათ ჩვენს წინააღმდეგ ნებისმიერ პრეტენზიაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ასეთი ნაგულისხმევი შრომითი ურთიერთობის შედეგად.

10.3. თქვენ არ გაქვთ უფლება გადასცეთ წინამდებარე ხელშეკრულება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლება ან ვალდებულება, მესამე პირს.

11. პერსონალური მონაცემების დამუშავება

11.1. თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება კონფიდენციალურობის შეტყობინების მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე <https://bolt.eu/ka/legal/ga/privacy-for-drivers/>

11.2. Bolt-ს აქვს ნდომა ყველა პერსონალურ მონაცემზე და სხვა მონაცემებზე, რომლებიც მოწოდებულია ან წარმოიქმნება Bolt სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით. Bolt-მა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ნაბიჯი ასეთი მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად და დაიცვას ყველა მოქმედი კონფიდენციალურობის პოლიტიკა და კანონები, როდესაც ეს მონაცემები შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოქმედი კონფიდენციალურობის პოლიტიკა და კანონები სხვა რამითაა

გათვალისწინებული, Bolt ინარჩუნებს წვდომას ამ მონაცემებზე ასევე თქვენსა და Bolt-ს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.

11.3. თქვენ გაქვთ წვდომა თქვენს მიერ მოწოდებულ ან Bolt სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პირად და სხვა მონაცემებზე, იმ მოცულობით, რაც თქვენთვის ხელმისაწვდომია Bolt მძღოლის ანგარიშიდან Bolt აპლიკაციის საშუალებით. თქვენ უნდა გადადგათ ყველა გონივრული ნაბიჯი ამ მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად და დაიცვათ მოქმედი კონფიდენციალურობის პოლიტიკა და კანონები, რადგანაც ეს მონაცემები შეიცავს მგზავრების პირად მონაცემებს.

12. პასუხისმგებლობა

12.1. Bolt აპლიკაციის მიწოდება ხდება "არის" და "ხელმისაწვდომი" საფუძველზე. ჩვენ არ ვირწმუნებით და გარანტიას არ ვიძლევათ, რომ წვდომა Bolt-ის აპლიკაციასთან იქნება შეუფერხებელი და ხარვეზებისგან დაცული. რადგან Bolt-ის აპლიკაციის გამოყენება დამოკიდებულია კლიენტის ქცევაზე, Bolt და მისი შვილობილი კომპანიები გარანტიას ვერ მოგცემენ რომ თქვენი აპლიკაციის გამოყენება მოგცემთ სატრანსპორტო მომსახურების განცხადების მოთხოვნას.

12.2. მაქსიმალურად ნებადართული მოქმედი კანონმდებლობით, არც ჩვენ, არც Bolt-ის წარმომადგენლები, დირექტორები და თანამშრომლები არ ვართ არ ვართ პასუხისმგებელი ნებისმიერ ზარალსა ან დანაკარგზე, რომელიც შეიძლება წარმოგექმნათ თქვენ Bolt სერვისების გამოყენებით ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის და: არა მხოლოდ:

- 12.2.1. ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი საკუთრების დაზიანება ან ფულადი დანაკარგი;
- 12.2.2. მოგების დაკარგვა ან არასასურველი დანაზოგი;
- 12.2.3. ბიზნესის, კლიენტების, კონტრაქტების, კონტაქტების, გუდვილის, რეპუტაციის დაკარგვა, და ნებისმიერი დანაკარგი, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას საქმიანობის შეწყვეტის შედეგად;
- 12.2.4. მონაცემების დაკარგვა; ან/და
- 12.2.5. ნებისმიერი სხვა სახის დანაკარგი, თუ ზარალი.

12.3. ჩვენი ფინანსური ვალდებულების ლიმიტი ზოგადი პირობების ან ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში შეადგენს 500 ევროს. უფლებამოსილი ხართ, მოითხოვოთ ზარალის ანაზღაურება, თუ ჩვენ მიერ განზრახ დაირღვა ზოგადი პირობები ან ხელშეკრულება.

12.4. კომპანია არ არის პასუხისმგებელი აპლიკაციის გამოყენებული კლიენტებისა და მათი თანამგზავრების ქმედებებსა ან უმოქმედობებზე და არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზარალზე, რომელიც შესაძლოა წარმოგექმნათ კლიენტების ან მათი თანამგზავრების მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად.

12.5. თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი წინამდებარე ხელშეკრულების და/ან ნებისმიერი სხვა მოქმედი კანონმდებლობის ან რეგულაციის დარღვევაზე და უნდა შეაჩეროთ და გამოსწოროთ ასეთი დარღვევა Bolt-სგან ან ნებისმიერი სახელმწიფო ან სხვა ორგანოსგან შესაბამისი მოთხოვნის მიღებისთანავე. ვალდებულნი ხართ, აგვინაზღაუროთ ნებისმიერი პირდაპირი და/ან ირიბი ზარალი, ზიანი, მოგების დაკარგვა, ხარჯი, ჯარიმა, პირგასამტეხლო, რომელიც დაგვეკისრება თქვენ მიერ ზოგადი პირობების, ხელშეკრულების, კანონების და რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში. თუ მგზავრი წარმოადგენს პრეტენზიას Bolt-ის წინააღმდეგ თქვენ მიერ უზრუნველყოფილ სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებით, მაშინ თქვენ აუნაზღაურებთ ასეთ ზარალს Bolt-ს სრულად ჩვენ მიერ შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში. თუ Bolt-ს ექნება რაიმე პრეტენზია თქვენს წინააღმდეგ, მაშინ თქვენ აუნაზღაურებთ Bolt-ს იურიდიული მომსახურების ყველა დანახარჯს, რომელიც უკავშირდება ზარალს და ამ ზარალის კომპენსაციის მოთხოვნებს.

13. მოქმედების ვადა და შეწყვეტა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული ზოგადი წესები ძალაში შედის სარეგისტრაციო აპლიკაციის ატვირთვისთანავე. ყველა სხვა დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ნაწილს, ძალაში შედის მას შემდეგ, რაც თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდება კონკრეტული დოკუმენტი და თქვენ დაიწყებთ ან განაგრძობთ სატრანსპორტო მომსახურების განევას, თუ ხელშეკრულებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული.

13.2. თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ წინამდებარე ხელშეკრულება ნებისმიერ დროს Bolt-თვის სულ მცირე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, რის შემდეგაც შეგინცდებათ Bolt აპლიკაციისა და მომსახურებების გამოყენების უფლება. Bolt-ს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს სულ მცირე 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე თქვენი ინფორმირების საფუძველზე.

13.3. Bolt-მა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და შეგიზღუდოთ წვდომა Bolt-ის პლატფორმაზე რაიმე წინასწარი შეტყობინების გარეშე, თუ თქვენ მიერ ირლვევა წინამდებარე ხელშეკრულება და/ან ნებისმიერი მოქმედი კანონი ან რეგულაცია, რომელიც ლახავს Bolt-ს, ან ზიანს აყენებს Bolt-ის ბრენდს, რეპუტაციას ან ბიზნესს, როგორც ამას განსაზღვრავს Bolt საკუთარი შეხედულებისამებრ. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, Bolt-ს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, აგიკრძალოთ მძღოლის ახალი ანგარიშის დარეგისტრირება.

13.4. Bolt-ს ასევე შეუძლია დაუყოვნებლივ დაბლოკოს თქვენი ხელმისაწვდომობა Bolt-ის აპლიკაციაზე და სხვა მომსახურებებზე გამოძიების პერიოდში, თუ ჩვენ გაგვიჩნდება ეჭვი ხელშეკრულების დარღვევასთან ან თქვენი სახელით თაღლითურ საქმიანობასთან დაკავშირებით. წვდომაზე ბლოკირება მოიხსნება, მას შემდეგ, რაც გამოძიება უარყოფს ამგვარ ეჭვებს.

13.5. Bolt-ის მიზანია უზრუნველყოს კლიენტებისთვის უმაღლესი ხარისხის მომსახურება და აკონტროლოს სისტემაზე მძღოლების მოქმედება. თუ თქვენ ვერ აკმაყოფილებთ მომსახურების მინიმალურ მოთხოვნებს, Bolt უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების გარეშე.

13.6. დამატებითი მოთხოვნები და უსაფრთხოების ზომები, რომელიც წარმოდგენილია ევროკავშირის 2019/1150 რეგულაციაში იქნება გათვალისწინებული, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა, ან Bolt პლატფორმაზე წვდომის შეზღუდვა გავლენას ახდენს მძღოლის, ან ავტოპარკის უფლებებზე, Bolt სერვისების გამოყენების დროს, ევროკავშირის ქვეყნებში ტრანსპორტირების სერვისების უზრუნველსაყოფად.

13.7. მძღოლს და ავტოპარკს, როგორც 13.6. პუნქტში არის წარმოდგენილი (ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ბიზნეს მომხმარებელი) აქვს უფლება გაასაჩივროს ხელშეკრულების შეწყვეტა, დაბლოკვა და სხვა რეგულაციასთან დაკავშირებული სავარაუდო შეუსაბამობა, Bolt-ის ბიზნეს მომხმარებლებისთვის შიდა საჩივრების განხილვის სისტემის წესების შესაბამისად.

14. ცვლილებები

14.1. Bolt იტოვებს უფლებას შეცვალოს ეს ზოგადი პირობები ნებისმიერ დროს განახლებული ვერსიის ატვირთვით მის ვებსაიტზე (<https://bolt.eu/legal/>) და ამის შესახებ შეგატყობინოთ (მაგ. ელ.ფოსტით, Bolt აპლიკაციით ან Bolt მძღოლის ანგარიშით), თუ Bolt-ის აზრით ასეთი ცვლილება არსებითია

14.2. Bolt-მა უნდა აცნობოს მინიმუმ 15 დღით ადრე (მაგ. ელექტრონული ფოსტით, Bolt აპლიკაციით ან Bolt მძღოლის ანგარიშით) იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მძღოლების უფლებებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

14.2.1. Bolt ექვემდებარება იურიდიულ ან მარეგულირებელ ვალდებულებებს, რომლებიც მოითხოვს ზოგადი პირობების შეცვლას ისე, რომ არ შეესაბამება წინასწარი შეტყობინების პერიოდს;

14.2.2. აუცილებელია დაუყოვნებელი ცვლილებები ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან კიბერუსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი და მოსალოდნელი საფრთხეების აღმოსაფხვრელად, ან Bolt სერვისების, მგზავრების ან მძღოლების დასაცავად თაღლითობისგან, მავნე პროგრამისგან, სპამისგან ან მონაცემთა დარღვევისგან;

14.2.3. თქვენ გადაწყვეტთ უარი თქვით წინასწარი შეტყობინების პერიოდში (მაგალითად, თქვენ განაცხადობთ Bolt სერვისების გამოყენებას ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ); ან

14.2.4. Bolt- ის გონივრული აზრით, ცვლილებები სასარგებლოა მძღოლებისთვის და მათგან არ საჭიროებს ტექნიკურ კორექტირებას.

14.3. თუ არ ეთანხმებით ზოგადი პირობების ან ხელშეკრულების სხვა პირობების შესწორებებს, თქვენ გაქვთ უფლება შეწყვიტოთ ხელშეკრულება Bolt სერვისების გამოყენების შეწყვეტით და Bolt-ისთვის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნით. ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში შედის შემოთავაზებული შესწორების ძალაში შესვლის თარიღიდან, თუ თქვენს შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში სხვა რამ არ არის მითითებული. ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ, Bolt-ის სერვისებით სარგებლობის გაგრძელებით თქვენ ადასტურებთ და აცხადებთ თანხმობას, შეასრულოთ და დაცვათ შეცვლილი წესები და პირობები.

15. მოქმედი კანონმდებლობა და სასამართლო იურისდიქცია

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება უნდა დარეგულირდეს, განიმარტოს და განხორციელდეს ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ამ ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი დავა ვერ გადაწყდება მორიგებით, მაშინ დავა საბოლოო გადაწყვეტილებისთვის გადაეცემა ესტონეთის რესპუბლიკაში ტალინის ხარის საოლქო სასამართლოს კენტამანის სასამართლოს.

16. შეტყობინებები

16.1. თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ აცნობოთ Bolt-ს თქვენს საკონტაქტო ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულებით მოთხოვნილი ნებისმიერი შეტყობინება სათანადოდ გაგზავნილად ჩაითვლება თუ:

16.2.1. გადაეცემა პერსონალურად;

16.2.2. გაიგზავნება კურიერის საშუალებით გადაცემის მტკიცებულებით;

16.2.3. გაიგზავნება დაზღვეული ფოსტით;

16.2.4. გაიგზავნება ელ-ფოსტით; ან

16.2.5. Bolt აპლიკაციიდან, ან Bolt მძღოლის ანგარიშიდან.

16.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც იგზავნება წინამდებარე მუხლის შესაბამისად, ჩაითვლება მიღებულად

16.3.1. თუ გადაეცემა პირადად, აღნიშნული მხარისთვის გადაცემის მომენტში;

16.3.2. თუ იგზავნება კურიერის საშუალებით, იმ დღეს, რომელიც კურიერის მიერ მითითებულია როგორც თარიღი, როცა შეტყობინების შემცველი კონვერტი გადაეცა მხარეს;

16.3.3. თუ იგზავნება დაზღვეული ფოსტით, მეორე მხარისთვის გასაგზავნად ფოსტისთვის დოკუმენტის გადაცემიდან მე-10 დღეს;

16.3.4. თუ იგზავნება Bolt აპლიკაციის, ან Bolt მძღოლის პორტალიდან;

16.3.5. თუ იგზავნება ელ-ფოსტით, იმ დღეს, როცა ელ-ფოსტის მიმღები მხარე ადასტურებს შესაბამის ელ-ფოსტის მიღებას ან ფოსტის გაგზავნის მე-2 კალენდარულ დღეს, იმ პირობით, რომ გამგზავნი არ მიიღებს შეცდომის შესახებ შეტყობინებას (შეტყობინებით, რომ ელ-ფოსტა არ გადაეცა მხარეს) და ფოსტა გაიგზავნა ისევ მეორე კალენდარულ დღეს და არ მიუღია მსგავსი შეცდომის შეტყობინება.

17. საბოლოო დებულებები

იმ შემთხვევაში, თუ ზოგადი პირობების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, მხარეები ჩაანაცვლებენ მას მოქმედი დებულებით, რომელიც მიახლოებით ასახავს ბათილად ცნობილი დებულების მიზანს და ეკონომიკურ ეფექტს.